

მინდია ცეცხლაძე
(საქართველო)

ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიის ქრისტიანული ფალსიფიკაცია ერთ გალაკტიონოლოგიურ კვლევაში

თანამედროვე აზროვნებაში, ინტერდისციპლინარიზმის და ინტერლიტერატურულობის აქტუალობის ფონზე, განსაკუთრებით საინტერესოა პოეზიის და ფილოსოფიის ურთიერთმიმართების კვლევა. ფრიდრიხ ნიცშეს გავლენის მასშტაბების გათვალისწინებით, ქართველი პოეტების ნიცშეს ფილოსოფიასთან მიმართების კვლევა თავისთავად მნიშვნელოვანია, მით უფრო, როცა ამის ექსპლიციტური საფუძველიც არსებობს ისეთ მნიშვნელოვან პოეტთან, როგორც გალაკტიონია. 1918 წელს გალაკტიონი მოსკოვში ეცნობა და თარგმნის ნიცშეს თხზულებებს, გარდა ამისა, თავის სტატიებსა და დღიურებში მას ხშირად ახსენებს. არსებობს ასევე იმპლიციტური ნიშნებიც და ზოგიერთ მათგანზე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებობს გარკვეული კვლევები, თუმცა ქართულ აკადემიურ სივრცეში ნიცშეს რეცეფცია და ინტერპრეტაცია გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. სახელმწიფო უნივერსიტეტებში დღესაც ასწავლიან ძველი საბჭოთა სახელმძღვანელოებით, რომელთა მიხედვით ნიცშე წარმოადგენს „დასავლური, ბურჟუაზიული ფილოსოფიის დაცემის ხანას“. ფილოლოგების მიერ ვრცელდება ინტერპრეტაცია, რომ ნიცშე არ იყო ათეისტი და სხვ. უცხო „მოთვინიერება“ და აპროპრიაცია-ადაპტაცია უცხო აშკარა მიუღებლობაზე გაცილებით უარესი ტენდენციაა. ისეთი პროფესორებიც კი, რომელთაც იციან გერმანული ენა და იკვლევენ გერმანულ კულტურას, წარმოუდგენელი ტენდენციურობით ამახინჯებენ ნიცშეს სიტყვებს თარგმნის დროს. თუმცა, ამ წერილში განხილული შემთხვევა უშუალოდ თარგმანის დამახინჯებით გამორჩეული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ აქაც არის ტენდენციური თარგმანის პრობლემა. ბუნებრივია, მე გერმანული ენის სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ არსებობს ფილოსოფოსის ჰერმენევტიკული კონტექსტი და სხვა, უფრო სანდო ინგლისურენოვანი თარგმანები.

ვენერა კავთიაშვილის წიგნს, სადაც გალაკტიონის და ნიცშეს ურთიერთმიმართებაა განხილული, ეწოდება „გერმანული ლიტერატურულ-ესთეტიკური რეცეფციები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“, აშკარაა წიგნის ავტორის მცდელობა ნიცშე წარმოადგინოს ფარულ, ჭეშმარიტ ქრისტიანად, იესოს თანამოაზრედ. წარმოდგენილია სრულიად დაუსაბუთებელი, ცალსახა განცხადებები, რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი საერთოდ ვერ აცნობიერებს საკუთარ წინასწარგანსჯებს და შესაბამისად, ვერ ახდენს მის კონტროლს, ვერ მალდდება მასზე, რათა მინიმალური ობიექტურობისთვის

აუცილებელი და საკმარისი პერსპექტივა გამოჩნდეს, შესაძლებელი გახდეს ჰორიზონტების მეტნაკლები დაახლოება ჰერმენევტიკის გადამერიანული პრინციპების შესაბამისად.

არსებობს მოსაზრება, რომ რადგან ნიცშეს ფილოსოფია პოეტური სტილით ხასიათდება, ხოლო პოეზია გულისხმობს ორაზროვნებას და ბუნდოვანებას უკიდურესი ჰაიდგერიანული აზრით¹, ამიტომ ნიცშეს ტექსტებს არ აქვთ მკაფიო სათქმელი და გზა ხსნილია არბიტრარული გაგებისათვის. უპირველესად, აი, რას წერს ნიცშე ბუნდოვანებაზე: „ვინც იცის, რომ ღრმად, ცდილობს იყოს ცხადი; ვისაც სურს ბრბოს მოეჩვენოს ღრმად, ცდილობს იყოს ბუნდოვანი. რადგან ბრბო ღრმად მიიჩნევს ყველაფერს, რისი ფსკერის ხილვაც არ ძალუძს: ის ხომ ასეთი მშობარაა და ასე უხალისოდ შედის წყალში“ (Nietzsche 2008: 136). ასე რომ, ნიცშესთვის ბუნდოვანება არაა მიზანი, როგორც ეს პოეტისთვის შეიძლება იყოს, პირიქით, იგი ცდილობს იყოს ცხადი, იგი ფილოსოფოსია პოეტური სტილით, როგორც თავადაც აღიარებს, მაგრამ იგი მაინც არ არის პოეტი, ბოლოსდაბოლოს.

გარდა ამისა, პრობლემას ქმნის ისიც, რომ თანამედროვე აზროვნებაში დეკონსტრუქციული პარადიგმა შეცდომითაა ასოცირებული ჰერმენევტიკულ-ინტერპრეტაციულ ინკლუზივიზმსა და არბიტრარულობასთან, ამ პარადიგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის – პოლ დე მანის აზრით, კრიტიკოსს თავისი მიზნების შესაბამისად როდი შეუძლია ინტერპრეტაცია, სწორი კითხვის აქტის შედეგად ვიღებთ ნაკითხვის ანუ ინტერპრეტაციის შეუძლებლობას (Laverse 1995: 182). დეკონსტრუქციული ჰერმენევტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის – ჟაკ დერიდას მიხედვით, როდესაც ტექსტის გაშიფრვისას ვაწყდებით სიტყვას ან მეტაფორას, რომელიც შეიცავს წინააღმდეგობას, ორაზროვნებას და მიუთითებს ერთიანი მნიშვნელობის არარსებობაზე, ჩვენ უნდა ჩავეჭიდოთ სწორედ ამ სიტყვას თუ მეტაფორას, „ჩვენ თვალი უნდა მივაღვენოთ მის თავგადასავალს ტექსტში და დავინახოთ როგორ იმსხვრევა ტექსტი, როგორც შენიღვის სტრუქტურა, რომელიც ავლენს თავის თვით-ტრანსგრესიას, თავის გადაუწყვეტადობას“ (Laverse 1995: 184). დერიდას მიხედვით, „ჩვენ მიერ ტექსტის კითხვა მუდამ იქნება გაჯერებული გარდაუვალი აპორიებით, რომელიც ძირს უთხრის სტაბილურობას და გვაძლევს გაუვალ პოზიციებს, რომელიც არ გადაიჭრება, რაც უნდა მკაცრი იყოს ჩვენი ანალიზი თუ ეგზეგეზა“ (Porter ... 2011: 205).

მსგავსი რადიკალიზმი ერთგვარად „პოლიტიკურად მოტივირებულია“, რიჩარდ რორტის აზრით, დეკონსტრუქციული კრიტიკის ჯონათან ქალერი-

1 ჰაიდგერისთვის პოეტური ენა არის „ორაზროვანი ორაზროვნება“, არა იმ აზრით, რომ ორიდან ერთ-ერთია ჭეშმარიტი მნიშვნელობა, არამედ მსგავსი ორაზროვნება „ორ დაპირისპირებულ მნიშვნელობას ანიჭებს არასტაბილურობას, იგი საერთოდ არ ანარმობს ორაზროვნებას არსებული მნიშვნელობებისგან, არამედ ათავსებს ორაზროვნებას სივრცეში, რომელიც ამ მნიშვნელობათა „შუაშია“ და არც ერთს წარმოადგენს და არც მეორეს. ადამიანი, საგნები და ენა, ყველაფერი მოყვანილია მოძრაობაში და განძარცულია დასწრებულობაზე რამეგვარი პრეტენზიისგან“ (Dahlstrom 2011: 226).

სეული გააზრებიდან აშკარა ხდება თუ რაოდენ რადიკალურია ასეთი კრიტიკის განცხადებები და რამდენად რადიკალურები უნდა იყვნენ ისინი, რათა უპასუხონ მათ წინააღმდეგ მიმართულ სტანდარტულ კრიტიკას“, რაც გულისხმობს ბრალდებას, რომ თითქოს დეკონსტრუქცია უშვებს ინტერპრეტაციის არბიტრარულობას. რორტის აზრით, მსგავს რადიკალურ ქმედებას რიტორიკულ-პოლიტიკური შეფერილობაც აქვს და მართლაც დეკონსტრუქციონისტები თავიანთ პრაქტიკას პოლიტიკური პრაქტიკის გაგრძელებად მიიჩნევენ (Laverse 1995: 192). საუბარია დეკონსტრუქციის კრიტიკულ პოტენციალზე კაპიტალისტურ-პატრიარქალური და განმანათლებლური დისკურსის წინააღმდეგ; ფუკოს პერსპექტივიდან, „მარქსიზმი მოდიდან გადასული ჰუმანიზმის სახეობაა“, ხოლო ჟან ფრანსუა ლიოტარის მიხედვით, ნიცშეს, ჰაიდეგერის და ფუკოს შემდეგ ჩვენ აღარ შეგვიძლია ისეთი „მეტა-ნარატივების“ რწმენა, როგორცაა მარქსიზმი (Laverse 1995: 195).

დეკონსტრუქცია თავის საფუძვლებში უკავშირდება ფრიდრიხ ნიცშეს მიერ პლატონური მეტაფიზიკის დეკონსტრუქციას „კერპების დაისში“ (Laverse 1995: 169). როგორც დავინახეთ, დეკონსტრუქცია მოიაზრებს მაქსიმალურ სიფრთხილეს ტექსტებთან და გამორიცხავს არბიტრარულ გაგებას, მსგავსად ამისა, ნიცშე მიუთითებს თვითდისციპლინის მნიშვნელობაზე ინტერპრეტაციისას და ფილოლოგისგან მოითხოვს, რომ მან გაიგოს, „განზრახვით ჩანვდეს იმას, რისი თქმაც ტექსტს აქვს განზრახული, მაგრამ მეორე მნიშვნელობის შეგრძნების, სინამდვილეში ვარაუდის გარეშე. ნიცშე საუბრობს „საკუთარი ხმის საფრთხეზე“: „ზოგჯერ საუბრის მიმდინარეობისას ჩვენი საკუთარი ხმის ბგერა გვაბნევს და შეცდომით მივყავართ მტკიცებამდე, რომელიც არანაირად არ შეესაბამება ჩვენს აზრებს“ (Botz-Bornstein 2013: 258). ნიცშე საუბრობს ნელი კითხვის აუცილებლობაზე (Nietzsche 2006a: 5), მეტიც, მისი აზრით: „სავარაუდოდ, იმისათვის, რათა კითხვის ხელოვნებაში ივარჯიშოთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ერთი რამ, რაც დღესდღეობით ყველაზე მივიწყებულია – და სწორედ ამიტომ არ დამდგარა ჯერ ჩემი წიგნების „ნაკითხვადობის“ დრო – , ეს ერთი რამ, რის გამოც უნდა იყო თითქმის ძროხა და სულ მცირე არ უნდა იყო „თანამედროვე ადამიანი“, არის: ცოხნა...“ (Nietzsche 2007: 9)¹.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ვგმობ რა „მკითხველის უფლებებით“ (რ. ბარტი) ბოროტად სარგებლობას, ვეცდები ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვე ზემოხსენებულ კვლევას და წარმოვაჩინო ნიცშეს ფილოსოფიის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული პრობლემები. წინასწარვე უნდა აღინიშნოს, რომ კონტექსტის სრულად და ნათლად წარმოსაჩენად, ვეცდები მოვიყვანო შედარებით

1 აქ წარმოდგენილია დამონშებანი ნიცშეს თხზულებების ინგლისური თარგმანებიდან, თუმცა ციტატების უმრავლესობა გადამონშებულია გერმანულ ორიგინალში საიტზე <http://www.nietzschesource.org/#eKGWB/M>, რომლის დამონშებაც კონკრეტული გვერდების მითითების შეუძლებლობის გამო ამ ფორმატში ნაკლებად მოსახერხებელია, თანაც მე არ ვარ გერმანული ენის სპეციალისტი, გარდა ამისა, ინგლისური ენის მცოდნე მკითხველთა რიცხვი, სავარაუდოდ, მეტია და ამგვარი დამონშებით მათთვის უფრო ადვილი ხდება გადამონშება.

ვრცელი ციტატები, რადგან მიმაჩნია, რომ პერიფრაზირების, გაშინაარსების და შეკუმშვის დროს ზოგად ტერმინებსა და კონცეფციებში გადატანილი აზრი ბუნდოვანი და ორაზროვანი ხდება, რაც ისევ და ისევ მცდარ ინტერპრეტაციას უხსნის გზას ან აჩენს ფალსიფიკაციის ეჭვს, გარდა ამისა, ნიცშეს გამორჩეული სტილი ნამდვილად იმსახურებს და საჭიროებს მეტი მასშტაბით წარმოჩენას. ნიცშეს ფილოსოფია, მისი მრავალფეროვანი სტილის, ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი განცხადებების და იდეების ქრონოლოგიური ცვალებადობის გამო არა ერთხელ გამხდარა სპეკულაციის, არასწორი ინტერპრეტაციის და მანიპულაციის საგანი, სავარაუდოდ, ამას თავად წიგნის ავტორიც მიანიშნებს, როცა წერს, რომ გალაკტიონის ახალგაზრდობის დროს ნიცშეს მიემართებოდა ისეთი იარლიყები, როგორცაა „დემოკრატი და სახალხო რევოლუციონერი“, „დეკადენტი“, „სიმბოლისტი“ (კავთიაშვილი 2006: 205). ვ. კავთიაშვილი არ აღნიშნავს, თუ რამდენად შეუსაბამოა ეს იარლიყები, თუმცა არც ის იგრძნობა, რომ იზიარებს მათ შესაბამისობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნებოდი ამ იარლიყების წინააღმდეგაც წარმომედგინა ვრცელი არგუმენტაცია.

სამაგიეროდ, რასაც შემდგომ ვკითხულობთ, აშკარად მოითხოვს საპირისპირო არგუმენტაციის წარმოდგენას. ავტორი აღნიშნავს, რომ ნიცშე ერთმა ნაწილმა „ღვთის მგომბელად, იმორალისტად, იდეების დამამხობლად გამოაცხადა“ და იქვე ეთანხმება მეორე ნაწილის საპირისპირო აზრს (კავთიაშვილი 2006: 233-234). ავტორი იზიარებს კარლ იასპერის აზრს, რომ ნიცშემ: „ძველ ღირებულებათა გადაფასების ლოზუნგად აქცია გამოთქმა „ღმერთი მოკვდა (Got ist tot), თუმცა ამით მას არ უთქვამს, ღმერთი არ არსებობს ან არა მნამსო, არამედ, როგორც იასპერის მიიჩნევს, ამით მან გამოთქვა ახალი თაობის განწყობა“ (კავთიაშვილი 2006: 235).

წინასწარვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიცშე ნამდვილად იყო „ღვთისმგომბელი, იმორალისტი და იდეების დამამხობელი“ და ამის უარყოფა ნიშნავს ნიცშეს რამდენიმე ნაწარმოების სრულ უარყოფას, ნიცშეს მიმართება ღმერთთან, მორალთან და ღირებულებების გადაფასებასთან საკმარისად ცხადია და ჩემი აზრით, თვით ყველაზე რადიკალურ-დეკონსტრუქციულ დაეჭვებასაც გადალახავს. „კერპების დაისში“ ნიცშე ეთანხმება ჰერაკლიტეს, რომ არსებობს მხოლოდ „გარეგანი“ სამყარო, „ჭეშმარიტი სამყარო“ ტყუილია. შეგრძნებების მიღებამ გახადა შესაძლებელი მეცნიერების არსებობა, ყველაფერი სხვა: მეტაფიზიკა, თეოლოგია, ფსიქოლოგია, ეპისტემოლოგია, ნაკლებ კავშირშია სინამდვილესთან. ფილოსოფოსები უნივერსალურ იდეებს მიიჩნევენ საწყისად, მაშინ როცა სწორედ რომ პირიქითაა, ესაა პატივისცემის გამოხატვის მათი გზა: ისინი ფიქრობენ, რომ უმაღლესი არ შეიძლება ამოიზარდოს უდაბლესისგან, ის საერთოდ საწყისის გარეშეა. თუ რაღაც წარმოიშვა სხვა რაღაცისგან, ეს მის ღირებულებას ეჭვქვეშ აყენებს. ყველა უზენაესი ღირებულება პირველი რანგისაა, ყველა უმაღლესი ცნება: ყოფნა, ჭეშმარიტი, სრულყოფილი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ქმნადობის

შედეგი და ასევე არცერთი ამათგანი არ უნდა ყოფილიყო განსხვავებული ან დაპირისპირებული სხვებთან... (Nietzsche 2005a: 168-169). ასე მივიღეთ ღმერთის ცნება, ყველაზე ცარიელი, უშინაარსო იდეა და იგი დაყენებულ იქნა პირველ ადგილას, როგორც მიზეზი თავისთავად (Nietzsche 2005a: 169).

ასევე ცხადად და ნათლად ღმერთის წინააღმდეგაა მიმართული განცხადება „მორალის გენეალოგიაში“: „ეს მომავლის ადამიანი, რომელიც არამხოლოდ ამ დრომდე გაბატონებული იდეალისგან გამოგვისყიდის, არამედ იმისგანაც, რომლის აღმოცენებაც გარდაუვალი იყო ამ უკანასკნელისგან და რომელიც არის დიდი გულისრევა, არაფრობის ნება, ნიჰილიზმი; ეს შუადღის და დიადი გადაწყვეტილების ზართა რეკვა, რომელიც ისევ ათავისუფლებს ნებას და აღადგენს მის მიზანსწრაფვას მიწისაკენ და მის იმედს ადამიანისადმი; ეს ანტიქრისტი და ანტინიჰილისტი; ეს ღმერთის და არაფრობის მძლეველი – ერთ დღესაც, იგი უნდა მოვიდეს...“ (Nietzsche 2007: 67).

რაც შეეხება იმორალიზმს და იდეების დამხობას, იმავე „კერპების დაისში“ ნიციშე საკუთარ თავს იმორალისტს უწოდებს (Nietzsche 2005a: 173), ხოლო შემაჯამებელ ნაწარმოებში – „ეკე ჰომო“, ვკითხულობთ: „მე ვარ პირველი იმორალისტი“ (Nietzsche 2005a: 114). იქვე მოგვიანებით საუბრობს „იდეების დამხობაზეც“: „ვისაც სურს იყოს შემოქმედი კეთილისა და ბოროტისა, ჯერ უნდა იყოს გამანადგურებელი და დაამსხვრიოს ღირებულებები“ (Nietzsche 2005a: 144), იქვე გრძელდება: „მე ვარ პირველი იმორალისტი: რაც მე მაქცევს გამანადგურებლად *par excellence*“ (Nietzsche 2005a: 145). ამ ყოველივეს ნიციშე ამბობს 1888 წელს, როცა მისი ფილოსოფიის ფორმირება დასრულებულია. როგორც ჩანს, ნიციშე მხოლოდ დამანგრეველი არ არის, ეს მხოლოდ პირველი ეტაპია, იგი საუბრობს ახალი ღირებულებების დაფუძნებაზეც, მაგრამ ეს არც ქრისტიანობას და არც თავად იესოს არ უკავშირდება, ესაა რადიკალური არისტოკრატიზმი, ანტიკურ და სხვა ქრისტიანობამდელ პარადიგმებზე დაფუძნებული.

ამის საწინააღმდეგოდ, ვ. კავთიაშვილი ეთანხმება კარლ იასპერსს, რომ ნიციშე იესოს ერთადერთ ნამდვილ ქრისტიანად, ზეკაცის ტიპად მოიაზრებს და აკრიტიკებს მხოლოდ დოგმატიკის მიერ გაყალბებულ ქრისტიანობას (კავთიაშვილი 2006: 234-235). იასპერსის აზრით, ნიციშემ ქრისტიანობას (კავთიაშვილი 2006: 237), ნიგნის ავტორი ამბობს, რომ ზარათუსტრას „ღმერთის იდეა მოსვენებას არ აძლევს“ და არგუმენტად მოჰყავს პასაჟი, სადაც ზარათუსტრა მიატოვებს თავის გამოქვამულში შეკრებილებს ჩუმად, მაგრამ მაინც უბრუნდება და ვირის კერპი დახვდება დაბრუნებულს, „ამით რწმუნდება იგი, რომ ვისიმე ან რისიმე გაღმერთება ადამიანის სულიერი მოთხოვნილებაა და ამავე დროს მისი სიძაბუნის ნიშანი“ (კავთიაშვილი 2006: 237). ნიგნის ავტორი გალაკტიონის ლექსს „მას გახელილი დარჩა თვალები“ უკავშირებს ნიციშეს გავლენას (კავთიაშვილი 2006: 239), „ის მიიცვალა რაღაც უმწეო და საოცარი გარდაცვალებით“, „და ეს თვალები საღამოთა ხმას უსმენდნენ ტანჯვით და მოკრძალებით“ – ამ სტრიქონებს ავტორი მიიჩნევს ნიცი-

შეს „ანტიქრისტეს“ იმ პასაჟის ინტერპრეტაციად, რომელშიც ნიცშე ამბობს, რომ ქრისტეს წინააღმდეგობა არ გაუწევია ბოროტებისადმი და სხვებსაც ეს უქადაგა (კავთიაშვილი 2006: 240). სინამდვილეში, ნიცშე სწორედ ამის გამო უპირისპირდება ქრისტეს იმავე პასაჟებში, როგორც ქვემოთ ვნახავთ.

ნიცშე მართლაც გმობს ქრისტიანობას, რომელიც პავლეს მიერ იესოს მოძღვრების გაყალბებად მიაჩნია, მაგრამ იგი არ იზიარებს არც უშუალოდ ქრისტეს ნამდვილ, გაუყალბებელ მოძღვრებას, იესოს პრაქტიკას, რომელზედაც ნიცშე ამბობს: „მსგავსი ცხოვრება *ჯერ კიდევ* შესაძლებელია დღეს, *გარკვეული* ტიპის ადამიანებისთვის იგი აუცილებელიც კია: ნამდვილი, ორიგინალური ქრისტიანობა მუდამ იქნება შესაძლებელი“ (Nietzsche 2005a: 35). მაგრამ ეს უნივერსალური შესაძლებლობა როდია, იესოს პრაქტიკის დადებითი მხარე ისაა, რომ რესენტიმენტისგან, შურისგებისგან, ბოღმისგან გათავისუფლებას გულისხმობს (Nietzsche 2005a: 37), რაც, ისევე, როგორც ბუდიზმის შემთხვევაში, დეკადანსის, გამოფიტვის, გადაღლის დროს ძალების აღდგენის, განკურნების საშუალებაა (Nietzsche 2005a: 81), შესაბამისად, ეს არ ნიშნავს, რომ იგი ყველასთვისაა აუცილებელი, „მკურნალი ჯანმრთელებს კიარა, ავადმყოფებს სჭირდებათ“!

ნიცშე იქვე აზუსტებს, რომ „ომი სხვა საქმეა“ და თვითონ, როგორც ძლიერი ბუნების მქონე, მეომარ ტიპს განეკუთვნება, თუმცა მისი ბრძოლის მიზეზი არ არის შურისგების სურვილი, ესაა არა რეაქტიული ბრძოლა, არამედ აქტიური თავდასხმა რანგით და ძალით თანასწორ მტერზე, მისთვის რომ ქრისტიანებს რამე დაეშავებინათ, იგი მათ წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა, რადგან აქ პიროვნული მომენტი ჩაერთვებოდა (Nietzsche 2005a: 83). „კერპების დაისში“ ნიცშე საუბრობს მტრობის სპირიტუალიზაციაზე; ნიცშეს აზრით, ეს „ქრისტიანობაზე ტრიუმფ“ წარმოადგენს, რადგან აქ ნიცშე მტრების სწორედ განსხვავებულ „სიყვარულზე“ საუბრობს. ნიცშეს აზრით, მტერი მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს და გაძლიერებას გვაიძულებს, ამაშია მისი ღირებულება, მისთვის წარმოუდგენელია ქრისტიანული „სულის სიმშვიდე“, სწორედ ამიტომ ნიცშე, როგორც იმორალისტი და ანტიქრისტიანი, სასარგებლოდ მიიჩნევს ეკლესიის არსებობას და ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, არ სურს მტრების განადგურება (Nietzsche 2005a: 173). ამავე მოტივით, ნიცშე სასარგებლოდ მიიჩნევს მის მიერ მრავალგზის დაგმობილი სოციალიზმის აღზევებასაც, რადგან იგი ფემინიზირებულ ევროპაში მშვიდობას ბოლოს მოუღებს (Nietzsche 1968: 77-78). ერთი სიტყვით, ნიცშეს უყვარს მტერი იმის გამო, რომ იგი მას აძლევს ბრძოლის მიზეზს და საშუალებას და არა იმ აზრით, რომ აპატიოს და დანებდეს. ნიცშე ანტიუნივერსალისტია, იგი გმობს საკუთარი იდეალის სხვაზე თავსმოხვევას (Nietzsche 2002: 40), მხარს უჭერს ინდივიდუალურ მორალს (Nietzsche 2018: 1) და ეწინააღმდეგება თვით ჭეშმარიტების ტირანიასაც, რადგან ბრძოლის შესაძლებლობის და მიზეზის არარსებობა დასუსტებას იწვევს (Nietzsche 2006a: 206).

ასევე, შესაძლებელია, წარმოვადგინოთ პასაჟები, სადაც ნიცშე ერთ-გვარად დადებითადაა განწყობილი იესოს მიმართ, თუმცა, საბოლოო ჯამში, მაინც აკრიტიკებს მას და არ ეთანხმება, ყოველ შემთხვევაში, ზეკაცად ნამდვილად არ მიიჩნევს! ერთ-ერთ ბოლო და შემაჯამებელ ნაწარმოებში „ასე იტყოდა ზარატუსტრა“, იესოს შესახებ ზარატუსტრა ამბობს, რომ უდაბნოში დარჩენის შემთხვევაში, „ალბათ ის ცხოვრებას ისწავლიდა და მიწის სიყვარულს ისწავლიდა – და სიცილს ასევე! მერწმუნეთ, ჩემო ძმებო! ის მოკვდა ძალიან ადრე; ის თვითონ იტყოდა უარს თავის სწავლებაზე ჩემს ასაკამდე რომ მოეღწია! კეთილშობილი იყო საკმარისად იმისათვის, რომ უარი ეთქვა!“ (Nietzsche 2006b: 55).

1883 წელს პეტერ გასტისადმი მიწერილ წერილში ნიცშე ქრისტეს და ზარატუსტრას აპირისპირებს და აცხადებს ანტიქრისტეს მოსვლის შესახებ (Levy 1921: 164). როგორც ჯორჯ მური წერს წიგნში „ნიცშე, ბიოლოგია და მეტაფორა“, ნიცშესთვის იესო არის „არამხოლოდ ნევროტიკი, ეპილეპტიკი და ფანტაზიორი“, არამედ „დეგენერირებული იდიოტი ამ სიტყვის ზუსტი კლინიკური მნიშვნელობით“ (Moore 2004: 147), ამის დასტურად ჯორჯ მური საუბრობს „ანტიქრისტეს“ იმ პასაჟზე, სადაც ნიცშე ერნესტ რენანის მიერ ქრისტეს, როგორც გამირის და გენიოსის წარმოჩენას უპირისპირდება. მართლაც, „ანტიქრისტეს“ ამ პასაჟში ვკითხულობთ: „თუ რამ არის არასახარებისეული, ესაა გამირის ცნება. აქ ზნეობად ქცეულა ბრძოლის, საომარი ქმედების რაიმეგვარი გრძნობის პოლარულად საპირისპირო ინსტინქტი“ (Nietzsche 2005a: 26). იქვე ნიცშე იესოს დახასიათებისას მართლაც რადიკალურია: „ფიზიოლოგიის მკაცრი ენა გამოიყენებდა სხვა სიტყვას აქ: სიტყვა „იდიოტს“. ჩვენ ვიცნობთ მდგომარეობას, როდესაც *შეხების შეგრძნება* პათოლოგიურად ზემოქმედობს არეა და ხდება ყოველგვარი კონტაქტის, ნებისმიერ მყარ საგანთან შეხების ასხლეტა. მიყვებით ამ ტიპის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას თავის საბოლოო შედეგამდე – რაც არის *ყოველგვარი* სინამდვილის სიძულვილის ინსტინქტი“ (Nietzsche 2005a: 27).

აუცილებელია ვნახოთ ასევე ციტატა ნიცშეს 1888 წლის ჩანაწერიდან: „იესო გენიოსის სრულიად საპირისპიროა: ის არის იდიოტი. საგრძნობია მის მიერ რეალობის აღქმის უუნარობა: იგი წრეზე ტრიალებს ხუთი, ექვსი ცნების გარშემო, რომელიც მან გაიგონა ადრე და თანდათან გაიგო, ანუ უფრო სწორად, ვერ გაიგო – ეს შეადგენს მის გამოცდილებას, მის სამყაროს, მის ჭეშმარიტებას, – სხვა დანარჩენი უცხოა მისთვის (Nietzsche 2018a: 1), იქვე გრძელდება: „ის, რომ ნამდვილად მამაკაცური ინსტინქტები – არამხოლოდ სექსუალური, არამედ ბრძოლის, სიამაყის, ჰეროიზმის – არასოდეს განვითარებულა მასში, ის, რომ იგი არის ჩამორჩენილი და დარჩა ბავშვური მომწიფების ასაკში: ეს ტიპურია ზოგიერთი ეპილეპტიოიდური ნევროზისათვის“. ამ ჩანაწერში ნიცშე ასევე ამბობს, რომ იესოს მოწაფეები ძალიან ჭკვიანები იყვნენ, პავლე სულაც არ იყო იდიოტი. ჯორჯ მური ნიცშეს იესოსთან მიმართების განხილვისას ახსენებს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა: „ინტელექტუალური ინფანტილიზმი“,

„დეგენერატული კრეტინიზმი“, შენიშვნაში ასევე წერს, რომ ნიცშე მოგვიანო ჩანანერებში ღმერთის რწმენას პიროვნულ აშლილობად აცხადებს (Moore 2004: 147).

ვ. კავთიაშვილი გალაკტიონის ლექსის „მას გახელილი დარჩა თვალები...“ ინტერპრეტაციისას ასკვნის: „პოეტი ითვალისწინებს რა იმ გზას, რომელიც ქრისტემ განვლო და იმასაც, რომ საშიშროების თავიდან ასაცილებლად მას არაფერი უღონებია (ამაზე, როგორც ვნახეთ, ნიცშეც ამახვილებს ყურადღებას), ტანჯვისგან ხსნის ერთადერთ უმოკლეს გზად სიკვდილს მიიჩნევს“ (კავთიაშვილი 2006: 242). საერთოდ გაუგებარია მსგავსი ინტერპრეტაცია ნიცშეს ფილოსოფიის კონტექსტში, მით უფრო, რომ მკვლევარი გალაკტიონის ლექსებს უკავშირებს ნიცშეს სიცოცხლის ფილოსოფიას, რომელიც ათეიზმის, პოზიტივიზმის და ქრისტიანული მორჩილების წინააღმდეგაა მიმართული, „არსებობის უმაღლეს ნებად გამოცხადებულია დიონისური ექსტაზი და სიცოცხლით თრობა“ (კავთიაშვილი 2006: 233). კავთიაშვილი აღნიშნავს, რომ ნიცშე სხეულის დიონისურ აპოლოგიას „უპირისპირებს ქრისტიანობას და მიიჩნევს, როგორც მარადიული ეკლის გვირგვინით გოლგოთისაკენ სვლას“, კავთიაშვილის აზრით, „ნიცშე ღმერთის ძიებას თვლის სულის მარადიულ თვისებად, გალაკტიონისთვისაც იგი მარადიული ჭვრეტის საგანია“ (კავთიაშვილი 2006: 217). იქვე, ავტორი აღნიშნავს, რომ „დიონისური ექსტაზის, სიცოცხლით თრობის, თავისუფალი ნების მრწამსი ნიცშემ შემოქმედებითი სამყაროსთვის მიმზიდველი გახადა“ (კავთიაშვილი 2006: 221).

როგორც ჩანს, უპირველესად, უნდა განიმარტოს დიონისურის ნიცშე-სეული გაგება. ნიცშეს მიხედვით, დიონისური მდგომარეობის მიზანია ჩვენი გათავისუფლება ცხოვრების ტვირთისგან ექსტაზური გამოცდილების მეშვეობით, რაც „გამოიხატება სიმთვრალესა და სექსუალურ გამამაგებაში და ვლინდება უფრო ურბანულ ფორმებში როგორც მუსიკის და ცეკვის ხელოვნება და რელიგიური მისტიციზმის გარკვეული სახეობები“ (Came 2013: 214). მაგრამ დიონისური ექსტაზი მოიცავს ლეთარგიულ ელემენტსაც, ექსტაზისგან გამოსვლის შემდეგ დიონისიანელი, ისევე ეჩხება რა რეალობას, მიდრეკილია ასკეტიზმისა და ნების უარყოფისაკენ (Came 2013: 214). „ორგინალურ გამოცდილებას ადამიანები მიჰყავს მხოლოდ ერთი მიმართულებით, ინდური ბუდიზმის გზისკენ“ (Came 2014: 93), შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ ნიცშე ქადაგებს მსგავს ესკაპიზმს და თანაც მას მიიჩნევს „დიონისურად“. მაგრამ ნიცშე წმინდა დიონისურ ტრადიციას როდი იცავს, არამედ იგი ავითარებს მის ბერძნულ გაშუალებას, ანუ ტრაგედიას, როგორც ბუდისტური მსოფლმხედველობის შინაარსის პოზიტიურ წარმოდგენას; ტრაგიკული კულტურა დიონისურის და აპოლონურის შერწყმას (Came 2014: 94).

შესაბამისად, ნიცშეს აფირმაცია უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე უბრალოდ დიონისური ექსტაზი ან „თრობა“. ნიცშეს შემოაქვს ტერმინი „გადაღახვა“: „რაც აქცევს გადაღახვას ასეთ ძნელ, შიშისმომგვრელ და ნამდვილად გამირულ მოვლენად, არის მოთხოვნა, რომ აქტიურად მოვიტოვოთ

უკან ყველაფერი, რაც უსაფრთხოა და ნაცნობი (ტკივილებისა და სიხარულების ჩათვლით), და რაც ვართ ჩვენ და რასაც ვაფასებთ, ამდენად, სერიოზულად მოვახდინოთ რა ჩვენი იდენტობის დესტაბილიზაცია. ალბათ, კიდევ უფრო შიშისმომგვრელია ის, რომ გადალახვა დამატებით მოითხოვს საპირისპირო და წინააღმდეგობრივი ვალდებულებების და ღირებულებების ერთად შენარჩუნებას – არც მათ სინთეზს, არც მათ უარყოფას, არც მათგან უფრო არახელსაყრელის დათრგუნვას ან განადგურებას, თვით არც მათ გაქრობას დროებით ინტოქსიკაციაში – არამედ მათი კონფლიქტის და წინააღმდეგობის ერთად შენარჩუნებას ერთ გაცნობიერებულ და მკაფიო დასტურყოფაში“ (Came 2013: 275).

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, „დიონისური ექსტაზის და სიცოცხლით თრობის ფილოსოფია“ ძალიანი ზოგადი, ცალხმრივი სახელდებაა და შეიძლება დაუკავშირდეს ჰედონიზმს, რომელიც ნიცშესთვის მიუღებელია. ზემოთ მოხმობილ პასაჟში „ანტიქრისტედან“, სადაც ნიცშე საუბრობს რეალობის სიძულვილის ინსტინქტზე, ვკითხულობთ, რომ ქრისტიანული დოქტრინა აღმოცენდა ჰედონიზმის ნიადაგზე, შეხების, ტკივილის შიში და რეალობის სიძულვილი აიძულებს დეკადენტს არ გაუნიოს წინააღმდეგობა ბოროტებას: „ტკივილის, თვით ყველაზე მინიმალური რაოდენობის ტკივილის შიში – ეს შეიძლებოდა დასრულებულიყო მხოლოდ როგორც *სიყვარულის რელიგია*“ (Nietzsche 2005a: 27), ნიცშე მიმართავს ჰედონისტებს, უტილიტარისტებს, პესიმისტებს და ევდემონისტებს: „თქვენ გსურთ, თუ ეს შესაძლებელია – და არ არსებობს ამაზე უფრო გიჟური „თუ ეს შესაძლებელია“ – *ტანჯვის გაუქმება*; და ჩვენ? – ნათლად ჩანს, რომ ჩვენ გვსურს იგი იყოს უფრო ძლიერი და საშინელი, ვიდრე ოდესმე ყოფილა! კეთილდღეობა, როგორც თქვენ გესმით იგი – ნამდვილად არ არის მიზანი, იგი ჩვენთვის *აღსასრულია!* მდგომარეობა, რომელიც ადამიანს ზოგჯერ სასაცილოს და საზიზღარს ხდის – და მის განადგურებას *სასურველს* ხდის! ეს დისციპლინა ტანჯვისა, დიადი ტანჯვისა – განა არ იცით, რომ მხოლოდ ეს დისციპლინაა, რომელიც განსაზღვრავდა კაცობრიობის აღმასვლას ამ დრომდე? სულის დაძაბულობა კატასტროფის დროს, რომელიც მას გადასცემს თავის ძალას, თავის თრთოლვას დიდი ნანგრევების პირისპირ, თავის გამომგონებლობას და გაბედულებას, უბედურების ატანის, გაძლების, გაგების და გამოყენებისათვის და რაც თუ თქვენში ოდესმე რაიმე სიღრმე, იდუმალება, საბურველი, სულისკვეთება, ოსტატობა ან სიდიადე ყოფილა: – განა იგი ტანჯვის, დიადი ტანჯვის დისციპლინის პირობებში არ მოგენიჭათ?“ (Nietzsche 2002: 116-117).

ამგვარად, გაუგებარია რა კავშირშია ნიცშესთან ტანჯვისგან ხსნის ერთადერთ გზად სიკვდილის გამოცხადება, როცა ნიცშეს ფილოსოფიის მიზანი არც ტანჯვისგან ხსნაა და არც სიკვდილისკენ დეკადენტური სწრაფვა. ნიცშე ბუნებრივია დასტურყოფს სიკვდილს, მაგრამ ესაა სხვაგვარი დასტურყოფა, ნიცშესთან სიკვდილის დასტურყოფა ასევე სიცოცხლის დასტურყოფის და განგრძობის კონტექსტში ხდება: განადგურების დიონისური

დასტურყოფა გამომდინარეობს ქმნადობის, განახლების, „მომავლის“ უხვი პოტენციალისგან, ძალის სიჭარბისგან; ნიცშეს თანახმად, არსებობს ასევე განადგურების რომანტიკული დასტურყოფა, რომელიც გამომდინარეობს სისუსტისგან, ცხოვრების სიძულვილისგან (Nietzsche 2006a: 187). დელიოზი, როდესაც საუბრობს განადგურების დისკურსზე ნიცშესთან, „კერპების დაისის“ ხსენებული პასაჟის გარდა, მოიხმობს პასაჟს „ტრაგედიის დაბადებიდან“, სადაც ნიცშე ამბობს, რომ დიონისური ფილოსოფიის გადამწყვეტი მახასიათებელი არის კვდომისა და განადგურების დასტურყოფა (Deleuze 2002: 70), ნიცშეს მიხედვით, „უარყოფა და განადგურება დასტურყოფის პირობებია“ (Nietzsche 2005a: 146). დიონისური არის წარმავლობის მიღმა გაღწევის ძლიერი სურვილი, ესაა „ექსტაზური დასტურყოფა სიცოცხლის მთლიანი ბუნებისა, როგორც იმგვარისა, რომელიც რჩება იგივე, სწორედ ამგვარად ძალმოსილი, სწორედ ამგვარად ნეტარი, ყოველგვარი ცვლილების მიღმა“, რაც გულისხმობს ყველაზე საშინელის დასტურყოფასაც, რადგან დიონისური არის „მარადიული ნება გამრავლების, ნაყოფიერების, დაბრუნების; ქმნადობისა და განადგურების აუცილებელი ერთიანობის გრძნობა“ (Nietzsche 1968: 539). ტრაგედია გულისხმობს „თავად გახდეს ქმნადობის მარადიული სიხარული, ყოველგვარი შიშის და სიბრალულის მიღმა, ის სიხარული, რომელიც თავის თავში, განადგურების სიხარულსაც შეიცავს“ (Nietzsche 2005a: 228).

ვფიქრობ, გალაკტიონთან სიკვდილის ამგვარ დასტურყოფაზე საუბარი შეიძლება სულ სხვა ლექსის მაგალითზე, რომელიც მთავრდება სიტყვებით: „დღეს ყველგან მზეა და სილამაზე, სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“ ან თუნდაც „სიკვდილის გზა არაა არის ვარდისფერ გზის გარდა“.

ვ. კავთიაშვილი ნიცშეს ნამდვილი და ფარული ქრისტიანობის არგუმენტად ნიცშეს მიერ მეგობრისადმი 1881 წლის 21 ივლისს (და არა 27) მიწერილ წერილსაც იშველიებს, სადაც თითქოს ნიცშე ქრისტიანობის შესახებ ამბობდეს: „შესანიშნავი რამ არის იგი იდეალური ცხოვრებისათვის, რომელიც მე ნამდვილად კარგად შევისწავლე: ბავშვობიდან მე მისი მიმდევარი ვიყავი და ჩემს გულში საერთოდ არასოდეს ვყოფილვარ მისი წინააღმდეგი“ (კავთიაშვილი 2006: 235). მკვლევარი გერმანულ ორიგინალსაც იმონმებს, აქ მეც მოვიყვან გერმანულ ორიგინალს, ოღონდ სრულად, რათა კონტექსტი წარმოჩნდეს: „Mir fiel ein, lieber Freund, daß Ihnen an meinem Buche die beständige innerliche Auseinandersetzung mit dem Christentum fremd, ja peinlich sein muß; es ist aber doch das beste Stück idealem Leben, welches ich wirklich kennen gelernt habe, von Kindesbeinen an bin ich ihm nachgegangen, in viele Winkel, und ich glaube, ich bin nie in meinem Herzen gegen dasselbe gemein gewesen. Zuletzt bin ich der Nackte aller Geschlechter von christlichen Geistlichen – vergeben Sie mir diese Beschränkung! –, –, –, „მე ვგრძნობ, საყვარელო მეგობარო, რომ შენტის ჩემს წიგნში მუდმივი შინაგანი წინააღმდეგობა ქრისტიანობასთან დაკავშირებით, უცხო და მართლაც რომ უხერხული უნდა ყოფილიყო; მაგრამ იგი არის საუკეთესო რამ, იდეალური ცხოვრება, რომელიც ნამდვილად

შესწავლილი მაქვს, ბავშვობიდან მოყოლებული მისი მიმდევარი ვარ, მრავალ ასპექტში, და მნამს, ჩემს გულში არასოდეს ვყოფილვარ მის მიმართ მუდამ ერთნაირად მტრულად განწყობილი. ბოლოსდაბოლოს მე ვარ შთამომავალი ქრისტიანი პასტორების მთელი გვარისა – მომიტევე ეს ნაკლი!“

როგორც ჩანს, შეცდომის მიზეზია ფრაზა „gegen dasselbe gemein gewesen“, მივყვით სიტყვებს: gegen (მიმართ) dasselbe (იგივე ან იგივენაირად, იმგვარადვე) gemein („საერთოდ, ჩვეულებრივ“ ან „მტრულად“) gewesen (ყოფნა). gemein სიტყვას აქვს რამდენიმე მნიშვნელობა და მათგან ერთი არის „საერთოდ, ჩვეულებრივ, ძალიან ხშირად, ზოგადად“, ხოლო მეორე – „მტრულად, ცუდად, სასტიკად“, როგორც ჩანს ქალბატონმა ვენერამ სიტყვა „საერთოდ“, გაიგო როგორც „სრულიად“, მაშინ, როცა იგი არის იგივე, რაც „ჩვეულებრივ, ძალიან ხშირად, ზოგადად“ და თვით ეს მნიშვნელობაც არ შეესაბამება კონტექსტს, ამიტომ უნდა ავიღოთ მეორე მნიშვნელობა – „მტრულად“. ასევე ვ. კავთიაშვილმა საერთოდ უგულვებელყო სიტყვა dasselbe (იგივენაირად, ერთნაირად), რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ეს ჩანს ნიცშეს მიერ 2 დღის შემდეგ (23 ივლისი, 1881) დანერილ წერილში, რომელიც მან მისწერა თავის მეგობარს – ფრანც ოვერბეკს: „Was das Christenthum betrifft, so wirst Du mir wohl das Eine glauben: ich bin in meinem Herzen nie gegen dasselbe gemein gewesen und habe mir von Kindesbeinen an manche innerliche Mühe um seine Ideale gegeben, zuletzt freilich immer mit dem Ergebnis der puren Unmöglichkeit.“ – „რაც შეეხება ქრისტიანობას, ერთ რამეში ალბათ მერწმუნები: ჩემს გულში არასოდეს ვყოფილვარ მის მიმართ მუდამ ერთნაირად მტრულად განწყობილი და ბავშვობის დროიდან მქონდა მრავალი შინაგანი ძალისხმევა მიმეღწია მისი იდეალისთვის, საბოლოო შედეგი, რა თქმა უნდა, ყოველთვის იყო ამის სრული შეუძლებლობის აღიარება“ (Nietzsche 2018b: 1). როგორც ჩანს, „იდეალური“ და „იდეალი“ ნიცშესთვის თავისთავად მისაღებს არ ნიშნავს, მისთვის მნიშვნელოვანია რეალური, განხორციელებადი.

ამგვარად, ნიცშე არც „მუდამ ერთნაირად“ და არც ყველა ასპექტში არ ყოფილა ქრისტიანობის წინააღმდეგი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი არასოდეს და არანაირად არ ყოფილა მისი წინააღმდეგი და ყველა ასპექტში მისი მიმდევარია. წინა წერილში ნიცშე ამბობს: „ბავშვობიდან მოყოლებული მისი მიმდევარი ვარ, მრავალ ასპექტში“, მართლაც, ზემოთ ვისაუბრეთ ნიცშეს ერთგვარ დადებით დამოკიდებულებაზე იესოს და მისი გაუყალბებელი მოძღვრების მიმართ, მაგრამ „მრავალ ასპექტში“ როდია იგივე, რაც „ყველა ასპექტში“, აქ მნიშვნელოვანია არა რაოდენობა, არამედ ხარისხი და თვისობრიობა. ნიცშე ამბობს: „მე არ უარვყოფ, როგორც ეს ისედაც ცხადია – იმის გათვალისწინებით, რომ სულელი არა ვარ, – რომ მრავალ ქმედებას, რომელიც ამორალურად იწოდება, უნდა მოვერიდოთ და შევეწინააღმდეგოთ; მსგავსად ამისა, მრავალი რამ, რაც მორალურად იწოდება, უნდა გაკეთდეს და ნახალისდეს, – მაგრამ ჩემი აზრით, ერთიც და მეორეც უნდა მოხდეს აქამდე არსებულისგან განსხვავებული მოტივით. ჩვენ უნდა ვისწავლოთ სხვაგვარად

ფიქრი, – იმისათვის, რომ საბოლოოდ, ალბათ ძალიან გვიან, მივალწიოთ უფრო მეტს: სხვაგვარად გრძნობას“ (Nietzsche 2006a: 60).

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ შურისგების შესახებ, ნიცშე, იესოს მსგავსად, გმობს შურისგებას, მაგრამ კონტექსტი სულ სხვაა, 1881 წელს ნიცშე „რიჟრაჟში“ წერს, რომ შურისძიება და სასჯელი არასწორია, მისი აზრით, კრიმინალს უნდა მოვეპყროთ როგორც ავადმყოფს, ინვალიდს, მივცეთ მას რეაბილიტაციის შანსი, შევუცვალოთ სახელი და საცხოვრებელი ადგილი და თუ მაინც ვერ შეძლო გამოსწორება, ასეთ განუკურნებელ კრიმინალს მივცეთ სუიციდის შესაძლებლობა, როგორც უკიდურესი საშუალება, მას შემდეგ, რაც ყველაფერს ვიღონებთ. ნიცშე იქვე ამბობს, რომ ჯერ ეს ყველაფერი ნაადრევია, რადგან არ გვყავს ექიმები, ვინც ასეთ ავადმყოფებს განკურნავენ (Nietzsche 2006a: 121-122). შეიძლება ვიფიქროთ, რომ მსგავსი აზროვნება რაღაც ასპექტში ქრისტიანული ან უკეთ ქრისტიანული ჰუმანიზმის გამოვლინებაა, მაგრამ ფაქტია, რომ კონტექსტი აშკარად განსხვავებულია, იესო უბრალოდ პატიობს კრიმინალს, უფალსაც მოუწოდებს აპატიოს მას, რადგან „მან არ იცის რას აკეთებს“ და კვდება ჯვარზე, ესაა იესოს რწმენა, მოქმედებით დამტკიცებული. მეორე ლოყის მიშვერა ნიშნავს, რომ მიზანი არ არის კრიმინალური ქმედების, ძალადობის, მტრობის აღკვეთა და არც კრიმინალის გამოსწორება, მაშინ როცა ნიცშე საზოგადოების სიჯანსაღიდან ამოდის, აფორიზმს „რიჟრაჟში“, სადაც ნიცშე კრიმინალის გამოსწორებაზე მსჯელობს ჰქვია „სიჯანსაღის ნახალისებისათვის“, სუიციდის შეთავაზებაც იმისკენ მიანიშნება, რომ არაჯანსაღი ორგანო მოკვეთილ უნდა იქნეს, თუ ის ვერ იკურნება. აქ შეიძლება გაგვახსენდეს იესოს მოწოდება მაცდუნებელი ორგანოს ამოკვეთის შესახებ, მაგრამ კონტექსტი აშკარად განსხვავებულია, იესო არ ზრუნავს ძალადობის აღკვეთაზე, იესო უშვებს ძალადობას და ეწირება ამ ძალადობას, ნიცშეს თანახმად, იესოს მოძღვრება მის ქმედებებშია გამოხატული, სწორედ ამიტომ ნიცშესეული ქრისტეს მოძღვრება აშკარად არ მოიაზრებს კრიმინალის, მოძალადის, ზოგადად მტრის გამოსწორების იდეას. რაც შეეხება გაყალბებულ ქრისტიანობას, იგი ღმერთს მიანდობს კრიმინალის დასჯას ტრადიციული ებრაული სულისკვეთებით, რომელიც პავლემ აღადგინა. შურისგებისა და სასჯელის არავითარი გაუქმება აქ არ ხდება, უფრო პირიქით, ხოლო სუიციდის შეთავაზებაზე საუბარი ხომ საერთოდ წარმოუდგენელია.

ახლა წარმოვადგინოთ ნიცშეს ის მხარე, რომელიც ყველაზე ნაკლებ-ქრისტიანულია და სადაც ჩანს, რომ წარმოუდგენელია ამ ყველაფრის რიტორიკით, ალეგორიით, ნიღბით ახსნა, ყოველ შემთხვევაში, ასეც რომ იყოს, მაინც აუცილებელია ამ მხარის ჩვენება. ნიცშე გმობს არამხოლოდ სიბრალულს, როგორც ეს ცნობილია „ანტიქრისტიდან“, არამედ ყოველგვარ თანაგრძნობას, მოყვასის სიყვარულს, სხვაზე ზრუნვას, 1881 წელს, „რიჟრაჟში“ იგი რამდენჯერმე, მძაფრი რიტორიკით ესხმის თავს ამ იდეებს: „თუ თქვენ ასეთი მოსაწყენები და მახინჯები ხართ საკუთარ თვალში, მაშინ ყველა შემთხვევაში იფიქრეთ სხვებზე უფრო მეტად, ვიდრე საკუთარ თავზე! თქვენ ასეც უნდა

მოიქცეთ!“ (Nietzsche 2006a: 82). ნიცშე ამ ყოველივეს განსხვავებული კუთხიდან ხედავს და ეს ძალზედ საინტერესოა, ნიცშესთვის მიუღებელია კომერციული საზოგადოების მორალი, რომელიც ურთიერთდახმარების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიღწევას გულისხმობს: „განა ჩვენ ამ საშინელი განზრახვით – ნავშალოთ ცხოვრების კონტურები და საზღვრები, კაცობრიობის ქვიშად ქცევის საუკეთესო გზას არ ვადგავართ? ქვიშა! უფრო და უფრო პატარა, ნაზი, მრგვალი, უსასრულო ქვიშა! ესაა თქვენი იდეალი, თქვენ თანამგრძობელი განცდების მახარობლებო? – ამ დროს კი უპასუხოდ რჩება თვითონ კითხვა, ადამიანი უფრო მეტად არგებს სხვას უშუალოდ მუდმივი თანადგომითა და დახმარებით, რაც ჯერ კიდევ მხოლოდ ძალიან ზედაპირული შეიძლება იყოს, სადაც ის არაა ტირანიული დაუფლება და გარდაქმნა – თუ საკუთარი თავისგან რაღაც იმგვარის შექმნით, რასაც სხვა აღტაცებით შეხედავს, ეს შეიძლება იყოს მშვენიერი, მყუდრო, შემოსაზღვრული ბაღი, მაღალი კედლებით ქარიშხლისა და შარაგზის მტვრისაგან დასაცავად, მაგრამ ასევე სტუმართმოყვარე კარიბჭით“ (Nietzsche 2006a: 105-106).

ნიცშე, უპირველესად, უპირისპირდება ქრისტიანობას, რადგან ამ უკანასკნელმა დისტანციის პათოსის წინააღმდეგ გაილაშქრა (Nietzsche 2005a: 40), მაგრამ არც თავად იესოს „პრაქტიკასთან“ თავსებადია მისი არისტოკრატიული იდეები, ნიცშეს აზრით, იესოსთვის ყველა ყველას თანასწორია, ყველა უფლის შვილია, არ არსებობს დისტანცია (Nietzsche 2005a: 26), ნიცშესთვის კი „არათანაბარი უფლებები საერთოდ ყოველგვარი უფლებების წინაპირობაა“ (Nietzsche 2005a: 59), ნიცშე მხარს უჭერს მონობას (Nietzsche 2008: 241), დისტანციის პათოსს, რომლის გარეშეც უმაღლესი კულტურა არ იქმნება: „ამ პათოსის გარეშე, ის მეორე, უფრო იდუმალი პათოსი, ის მოთხოვნილება დისტანციის ახალ-ახალი გავცრობებისა თვითონ სულის შიგნით, განვითარება მდგომარეობებისა, რომელიც არის უფრო და უფრო მაღალი, იშვიათი, შორეული, მკვრივად ნაგები და ღრმა, და მოკლედ, „ადამიანის“ სახეობის გაძლიერება, მუდმივი „ადამიანის თვით-გადალახვა“ საერთოდ არ იქნებოდა შესაძლებელი“ (Nietzsche 2002: 151). მეტიც, იქვე ნიცშე აგრძელებს, რომ ჩაგვრაზე, ძალადობაზე უარის თქმა, „გარკვეული უხეში აზრით“, შესაძლებელია მხოლოდ რანგით და ძალით თანასწორთა შორის (Nietzsche 2002: 152), სხვა შემთხვევაში კი ექსპლუატაცია და ჩაგვრა სიცოცხლის, როგორც ძალაუფლების ნების აუცილებელი გამოხატულება და პირობაა (Nietzsche 2002: 153), ძალაუფლების ნება კი ნიცშეს ერთ-ერთი ძირითადი კონცეფციაა, „ანტიქრისტეს“ შესავალში წერს, რომ სწორედ ისაა კარგი, რაც ადამიანთა ძალას, ძალაუფლების ნებას აძლიერებს, ბედნიერება არის წინააღმდეგობის გადალახვა, ძალის ზრდა, ომი და არა მშვიდობა (Nietzsche 2002: 4).

ვენერა კავთიაშვილი ქრისტიანობის აღდგენის შესაძლებლობას ნიცშეს მარადიული დაბრუნების იდეას უკავშირებს (კავთიაშვილი 2006: 236). მკვლევარის აზრით, ლექსში – „მას გახელილი დარჩა თვალები“ ცერერას ხსენება დაკავშირებულია პერსეფონეს მითთან, რაც გაზაფხულის

კვლავგანმეორების, მარადიული დაბრუნების თემასთანაა ასოცირებული (კავთიაშვილი 2006: 240), “მეორე მხრივ, ცერერა იგივე დემეტრია – დიონისეს დედა... ტიტანებისაგან დაგლეჯილი დიონისე მეორედ სწორედ დემეტრამ შვა. აი ამ წესით, ზუსტად ნიცშეს მსგავსად – სიცოცხლის მარადიული განახლების წესით – დაუკავშირა გალაკტიონმა ჯვარცმული და შემდეგ აღმდგარი ქრისტი და ტიტანებისგან დაგლეჯილი და მეორედ შობილი დიონისე ერთმანეთს“ (კავთიაშვილი 2006: 241), კავთიაშვილის აზრით, პოეტი ლექსში მოიაზრებს, რომ „მარადიული დაბრუნების წესით კვლავ აღდგება ჭეშმარიტი ქრისტიანობა, რაც ქრისტიანული კულტურის აღორძინებასაც გამოიწვევს“ (კავთიაშვილი 2006: 241-242).

როგორც ზემოთ ვნახეთ, ვ. კავთიაშვილი ეთანხმება იასპერსს, რომ ნიცშეს აზრით, ქრისტიანული ერთადერთი ქრისტიანი იყო და რომ ქრისტიანობა გაყალბებულია მას შემდეგ, რაც სრულიად მართალია და მაშინ რომელი ქრისტიანობის დაბრუნებაზეა საუბარი? გაყალბებული ქრისტიანობის დაბრუნებაა ნიცშეს სურვილი და მოლოდინი თუ ნამდვილი ქრისტიანობისა, რომელიც არც არსებულა, რადგან, როგორც ნიცშე ამბობს, მისი ერთადერთი წარმომადგენელი ჯვარზე მოკვდა? გამოდის, რომ ქრისტიანობაში იგულისხმება თავად იესოს ნამდვილ ქრისტიანად ყოფნის ფაქტი და პერიოდი და ეს ქრისტიანობა უნდა აღდგეს, დაბრუნდეს. თუ გალაკტიონმა ასე გაიგო მარადიული დაბრუნება ან არ გაიგო ასე, მაგრამ ახდენს კონცეფციის სათავისო გადააზრებას, მას ესეც უნდა აღინიშნოს მკაფიოდ. ასეთ შემთხვევაში საინტერესო მიმართებებთან გვაქვს საქმე.

მარადიული დაბრუნების კონცეფციის დაყვანა მსგავს პრიმიტიულ და შეუსაბამო იდეამდე, ყოვლად გაუმართლებელია მით უფრო იმ ფონზე, რომ ნიცშესთვის ეს უმნიშვნელოვანესი კონცეფციაა. შესაბამისად, აუცილებელია ცოტა ვრცლად წარმოჩნდეს ეს საკითხი. დასაწყისისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მარადიული დაბრუნება მართლაც გულისხმობს კომბინაციების ამონურვის შედეგად ყველაფრის დაბრუნებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნიცშე კონკრეტულად ქრისტიანობის დაბრუნებას გულისხმობს ან მიესალმება. შესაძლოა ეს იყოს პირიქითაც, „ასე იტყოდა ზარათუსტრაში“, ზარათუსტრა დასევდიანდება იმის გაცნობიერებით, რომ თუ ყველაფერი მარადიულად ბრუნდება, მაშინ „პატარა ადამიანიც“ დაბრუნდება (Nietzsche 2006b: 176-177) და ამგვარად, ადამიანის ზეკაცად გარდაქმნა ვერ იქნება ერთხელ და სამუდამოდ მიღწეული მიზანი, ვერ იქნება „ისტორიული მიზანი, ფართო ცივილიზაციური იდეალი“ (Nietzsche 2006b: xxx).

თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს დასევდიანება ნიჰილიზმის მიზეზია თავად ნიცშესთვის. იგი ამბობს, რომ ევროპული ნიჰილიზმის მიზეზი სწორედ მარადიული დაბრუნებაა, რადგან ცნობიერდება, რომ ყველაფერი ამაოა, „ჩვენ უარყოფთ საბოლოო მიზნებს: არსებობას რომ ჰქონოდა იგი, მას უკვე მიაღწევდა“ (Nietzsche 1968: 35-36), მაგრამ, როგორც ზემოთ მოხილულ ციტატაშიც ვნახეთ, ნიცშე ნიჰილიზმს როდი ქადაგებს, იგი ქადაგებს

ანტინიჰილიზმს და ანტიპესიმიზმს: „სამყაროს მოძრაობა საბოლოო მდგომარეობისკენ რომ მიისწრაფოდეს, ამ საბოლოო მდგომარეობას აქამდე მიაღწევდა. თუმცა, ერთადერთი ფუნდამენტური ფაქტი ისაა, რომ იგი არ მიისწრაფვის საბოლოო მდგომარეობისკენ“ (Nietzsche 1968: 376), ამიტომ იგი ეძებს სამყაროს იმგვარ გააზრებას, რომელიც მხედველობაში მიიღებს ამ ფაქტს, „ქმნადობა უნდა აიხსნას საბოლოო განზრახვებთან მიმართების გარეშე“ და „არანაირად არ უნდა მოხდეს ანმყოს გამართლება მომავალთან მიმართებაში, არც წარსულისა ანმყოსთან მიმართებაში“ (Nietzsche 1968: 376). ნიცშე იქვე წერს: „ქმნადობა თანაბარი ღირებულებისაა ყოველ მომენტში; მათი ღირებულებების ჯამი რჩება მუდამ იგივე; სხვა სიტყვებით, მას არ გააჩნია ღირებულება საერთოდ, რადგან ის, რითაც გავზომავდით მას, და რასთან მიმართებაშიც სიტყვა „ღირებულება“ ექნებოდა მნიშვნელობა, არ არსებობს. *სამყაროს მთლიანი ღირებულება შეუძლებელია შეფასდეს*; აქედან გამომდინარე ფილოსოფიური პესიმიზმი კომიკურ საგანთა სფეროს განკუთვნება“ (Nietzsche 1968: 378). მარადიულ დაბრუნებაზე საუბრისას ნიცშე ამბობს, რომ მისი დიონისური სამყარო არის „მარადიულად თვითქმნადი, მარადიულად თვითდამანგრეველი, ორმაგი ვნებიანი აღტაცების იდუმალი სამყარო, ჩემი „კეთილისა და ბოროტის მიღმა“, მიზნის გარეშე, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ წრის სიხარულია თვითონ მიზანი“ (Nietzsche 1968: 550).

შესაბამისად, ნიცშესთვის მარადიული დაბრუნება სიხარულის მიზეზია და არა სასონარკვეთისა, ნიჰილისტებისგან განსხვავებით. შეიძლება ითქვას, რომ ამ კონცეფციას სიცოცხლის დასტურყოფასთან დაკავშირებული, ერთგვარი რიტორიკული მიზანდასახულობაც აქვს. „მხიარულ მეცნიერებაში“ ნიცშე ამ იდეას უწოდებს „უმძიმეს ტვირთს“, იგი სვამს კითხვას: რას იზამდით ვინმემ რომ გითხრათ, რომ ეს თქვენი ცხოვრება მარადიულად განმეორდება ზუსტად ამგვარი თანმიმდევრობითა და დეტალებით? დაწყევლიდით თუ დალოცავდით ამ ამბის მაცნეს? „კითხვა აბსოლუტურად ყველაფერში, „გსურს ეს ისევ? და უთვალავჯერ ისევ?“ თქვენს ქმედებებს დაანება უმძიმეს ტვირთად! ან რამდენად კარგად განწყობილი უნდა გახდეთ საკუთარი თავისა და ცხოვრების მიმართ, რათა არაფრისაკენ ისწრაფოდეთ ისე მგზნებარედ როგორც ამ საბოლოო მარადიული დადასტურებისა და დამონებისაკენ?“ (Nietzsche 2008: 194-195). მართლაც, „ეკე ჰომოში“ მარადიული დაბრუნების იდეას „დასტურყოფის შესაძლებელთაგან უმაღლეს ფორმულას“ უწოდებს (Nietzsche 2005a: 123). იქვე ნიცშე დიონისურ კონცეფციაზე საუბრისას განმარტავს: „ზარატუსტრა მოცეკვავა“; როგორ შეიძლება მან, ვინც ჩანვდა უმძიმეს, ყველაზე საშინელ სინამდვილეს, ვინც გაიხზრა „ყველაზე უძირო აზრი“, მაინც შეძლოს და ეს არ აღიქვას, როგორც არსებობისადმი, თვით მისი მარადიული დაბრუნებისადმი პროტესტის მიზეზი, – არამედ ამის ნაცვლად, იპოვოს კიდეც ერთი მიზეზი მასში, რათა თვითონ იყოს მარადიული დიახ ყველაფრისადმი „დაუჯერებელი, უსაზღვრო

ჰოს თქმა, ამენის თქმა“... „მე ისევ დამაქვს ჩემი კურთხეული ჰოს თქმა ყველა უფსკრულში“... (Nietzsche 2005a: 131).

„კერპების დაისშიც“ მარადიული დაბრუნება დიონისურ მისტერიებს უკავშირდება სწორედ სიცოცხლის დასტურყოფის თვალსაზრისით: „რის გარანტიას იქმნიდნენ ბერძნები საკუთარი თავისთვის ამ მისტერიებით? მარადიული სიცოცხლის, სიცოცხლის მარადიული დაბრუნების; მომავალი დაპირებული წარსულის მიერ და წარსული მიძღვნილი მომავლისადმი; ტრიუმფალური დიახ სიცოცხლეს ყოველგვარი სიკვდილის და ცვალებადობის მალა და ზემოთ“ (Nietzsche 2005a: 228). ასევე მარადიული დაბრუნების იდეასთან დაკავშირებით საინტერესოა ფრაგმენტი გამოუქვეყნებელი ჩანანერიდან: „ჩემი სწავლება ამბობს: *იმგვარად იცხოვრე, რომ აუცილებლად მოგინდეს ისევ იცხოვრო, ეს არის ამოცანა – შენ ისევ იცხოვრებ ნებისმიერ შემთხვევაში!*“ (Nietzsche 2018a: 1).

ასე რომ, ცალკე აღებული განცხადება, რომ ყველაფერი მეორდება, არაფრის მთქმელია და ამავე დროს ყველაფრის თქმა შეიძლება მიენეროს, მათ შორის არარსებული ქრისტიანობის დაბრუნების იდეაც. ქრისტიანობის დაბრუნება ნიცშესთვის არც გამორიცხულია და არც განსაკუთრებით მისასალმებელი. მეორე მხრივ, იგი ქრისტიანობის ან ქრისტიანული ეკლესიის განადგურებასაც არ ისახავს მიზნად, იგი თვით ეკლესიასაც მიესალმება და დასტურყოფს როგორც მტერს, რომელიც ბრძოლის მიზეზს იძლევა, როგორც აღინიშნა უკვე და მით უფრო არ იქნება მისი მიზანი იესოს ნამდვილი მოძღვრების განადგურება, მაგრამ არც მისი აღდგენა-განხორციელებაა მისი ფილოსოფიის მიზანი.

ნიგნის ავტორი საუბრობს ქრისტიანული კულტურის აღორძინებაზეც, აქ აღსანიშნავია, რომ ნიცშე არამხოლოდ პავლეს და ეკლესიის მიერ შექმნილ, გაყალბებულ ქრისტიანობას აკრიტიკებს, არამედ მთლიანად ქრისტიანულ კულტურასაც, ამის დასტურად ეს სიტყვებიც კმარა: „საბოლოოდ, ეროსის დემონიზაციამ კომიკური შედეგი გამოიღო: „ემმაკი“ ეროსი თანდათანობით ადამიანისთვის უფრო საინტერესო გახდა, ვიდრე ნებისმიერი ანგელოზი და წმინდანი, და ამას უნდა ვუმაღლოდეთ ეკლესიის მიერ ყოველგვარი ეროტიკულის გასაიდუმლოებას და მიჩქმალვას: მათი დამსახურებაა, რომ დღეისათვის, სიყვარულის ამბავი გახდა ერთადერთი რეალური ინტერესის საგანი, რაც ყველა წრისთვის საერთოა – იმგვარი გადაჭარბებით, რაც ანტიკური ხანისათვის გაუგებარი იქნებოდა, და რაც მომავალში ასევე სასაცილო გახდება. მთელს ჩვენს პოეზიას და აზროვნებას, უდიადესიდან უმდაბლესამდე, ახასიათებს და თან როგორ ახასიათებს გადაჭარბებული აქცენტი სიყვარულის ამბავზე, როგორც ყველაზე მთავარ ამბავზე, რაც ხდება: ალბათ აქედან გამომდინარე, შთამომავლობა დაასკვნის, რომ მთელ ქრისტიანულ კულტურულ მემკვიდრეობას ახასიათებს ერთგვარი სიმწირე და სიჩლუნვე“ (Nietzsche 2006a: 77).

საბოლოოდ, ნიცშეს ფილოსოფიის გალაკტიონთან მიმართების კვლევა უნდა წარიმართოს მეტი სიფრთხილით, ზედაპირული, წინასწარგანსჯებით განპირობებული ინტერპრეტაცია, სათავისოდ გაგება, უცხო და შეუსაბამო დისკურსის ადაპტაცია-აპროპრიაცია დაუშვებელია. გალაკტიონი, ქრისტიანობა და ნიცშეს ფილოსოფია გახლავთ ის სამი სფერო, რომელთა ურთიერთკავშირის განხილვა მოითხოვს მრავალმხრივ კომპეტენციას, დაკვირვებულ ანალიზს, ღრმა და ობიექტურ კვლევას, მზაობას თვალი გაფუსნოროთ არასასურველ სიმართლებს. მეცნიერის თუ მოაზროვნის პასუხისმგებლობაზე, მის ენთუზიაზმსა და წრფელ მიმართებაზე დამოკიდებული რამდენად დაძლეეს საკუთარ წინასწარგანსჯასა და ცნობიერ თუ არაცნობიერ, პირდაპირ თუ ირიბ საზოგადოებრივ ზეწოლას. გენიალური პოეტი, ტრადიციული რწმენა და მსოფლიოში ცნობილი ფილოსოფოსი – ცდუნება დიდია, მაგრამ იგი უნდა გადაილახოს!

დამონებანი:

- Botz-Bornstein, Thorsten. *Speech, Writing, and Play in Gadamer and Derrida*. Melbourne: Ashton and Rafferty, 2013.
- Came, Daniel. “The Birth of Tragedy and Beyond”. *The Oxford Handbook of Nietzsche*. Eds. Ken Gemes and John Richardson. Oxford: Oxford University Press, 2013.
- Came, Daniel. *Nietzsche on Art and Life*. Oxford: Oxford University Press, 2014.
- Dahlstrom, Daniel O. *Interpreting Heidegger: Critical Essays*. Cambridge: Cambridge University Press, 2011.
- Deleuze, Gilles. *Nietzsche and Philosophy*. Trowbridge: Continuum, 2002.
- K'avtiasvili, Venera. *Germanuli Lit'erat'urul-estet'ik'uri Retseptsiebi Galak'tion T'abidzis Shemok-medebashi*. Tbilisi: gamomtsemloba “universal”, 2006 (კავთიაშვილი 2006: კავთიაშვილი, ვენერა. *გერმანული ლიტერატურულ-ესთეტიკური რეცეფციები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში*. თბილისი: გამომცემლობა “უნივერსალი”, 2006).
- Laverse, Annete. “Deconstruction”. *The Cambridge History of Literary Criticism. Volume 8*. Eds. George Alexander Kennedy and Raman Selden. Cambridge: Cambridge University Press, 1995.
- Levy, Oscar. *Selected Letters of Friedrich Nietzsche*. Garden City, N.Y.; Toronto : Doubleday, Page & Co, 1921.
- Moore, Gregory. *Nietzsche, Biology and Metaphor*. Cambridge: Cambridge University Press, 2004.
- Nietzsche, Friedrich. *The Will to Power*. New York: Random House, 1968.
- Nietzsche, Friedrich. *Beyond Good and Evil*. Cambridge: Cambridge University Press, 2002.
- Nietzsche, Friedrich. *The Anti-Christ, Ecce Homo, Twilight of the Idols & Other Writings*. New York: Cambridge University Press, 2005.
- Nietzsche, Friedrich. *Daybreak: Thoughts on the prejudices of morality*. Cambridge: Cambridge University Press, 2006.
- Nietzsche, Friedrich. *Thus Spoke Zarathustra*. Cambridge: Cambridge University Press, 2006.
- Nietzsche, Friedrich. *On the Genealogy of Morality*. Cambridge: Cambridge University Press, 2007.

- Nietzsche, Friedrich. *Gay Science*. Cambridge: Cambridge University Press, 2008.
- Nietzsche, Friedrich. *eKGWB/NF-1881,11[163]* — *Nachgelassene Fragmente Frühjahr–Herbst 1881*. Web. 7 April, 2018. [http://www.nietzschesource.org/#eKGWB/NF-1881,11\[163\]](http://www.nietzschesource.org/#eKGWB/NF-1881,11[163])
- Nietzsche, Friedrich. *eKGWB/NF-1888,14[38]*— *Nachgelassene Fragmente Frühjahr 1888*. Web. 11 April, 2018. [http://www.nietzschesource.org/#eKGWB/NF-1888,14\[38\]](http://www.nietzschesource.org/#eKGWB/NF-1888,14[38])
- Nietzsche, Friedrich. *eKGWB/BVN-1881*, – *Brief AN Franz Overbeck: 23/07/1881*. Web. 12 April, 2018 <http://www.nietzschesource.org/#eKGWB/BVN>
- Porter, Stanley E., and Robinson, Jason C. *Hermeneutics: An Introduction to Interpretive Theory*. Grand Rapids/Cambridge: William B. Eerdmans Publishing Company, 2011.

Mindia Tsetskhladze
(Georgia)

Christian Falsification of Friedrich Nietzsche’s Philosophy in One Galaktionological Research

Summary

Key words: Christianity, Jesus, Eternal Return, Dionysiac, Affirmation

Interdisciplinarity and interliterariness is topical in contemporary thought, so researching Friedrich Nietzsche’s influence on Georgian poetry is important. Greatest Georgian poet Galaktion Tabidze has some explicit relation with the philosopher. In Georgian academic space, even philologists specialized in German culture often misinterpret and even mistranslate Nietzsche’s words. Venera Kavtashvili, in her book “German Literary-esthetic Receptions in Galaktion Tabidze’s Creative Work”, tries to present Nietzsche as a hidden, true Christian. Nietzsche himself is against interpreting his works arbitrarily, as poetry, in radical Heideggerian sense. Regardless his poetic style, he still remains philosopher.

Deconstruction is falsely associated with hermeneutic-interpretative inclusivism and arbitrariness. As Paul de Mann says, we cannot interpret the text according our goals; right reading is impossibility of reading. Derrida tells us we should reveal undecidability of the text, absence of one right reading. However, such radicalism is somehow “politically motivated”, as Rorty indicates, against meta-narratives. Deconstruction itself is derived from deconstructing Platonian metaphysics by Nietzsche who, on its side, requires careful reading and propagates slow reading, “rumination”, not distorting facts by interpretations. It is important not to abuse “Reader’s rights” and distance oneself from own pre-judgments, to control them in order to make it possible to appear sufficient perspective for some objectivity, in order to make horizons more or less close, according to Gadamerian principles of hermeneutics.

Venera Kavtashvili shares that interpretation of Nietzsche, which does not consider the philosopher as an atheist or immoralist. According to Jaspers, Nietzsche just expressed

the attitude of new generation when he declared God as dead. However, Death of God is complex concept, which implies atheism, also deconstructing metaphysics, denying “true world”, Being as opposed to Becoming, idealism and so on. Nietzsche is immoralist, as he often clearly states, but he also announces destruction of old value system, in order to create new one, which, however, is not related to Christianity, but to radical aristocratism.

Venera Kavtiashvili shares the opinion of Karl Jaspers that Nietzsche considers Jesus as the only true Christian, criticizes only falsified Christianity, and regards Jesus as overman type, who stands above Zarathustra. Venera Kavtiashvili relates Galaktion’s poetry named “Its eyes were left open...” to Nietzsche, indicating that not opposing the evil is his own position as well, but Nietzsche declares not contradicting evil, freeing oneself from revenge, as a remedy for only sick people, not war type people represented by Nietzsche himself. We can cite here the Jesus himself: ““It is not the healthy who need a doctor, but the sick””.

Nietzsche is somehow positively disposed towards Jesus, considers him as noble person, but still strictly criticizes him. Nietzsche calls Jesus idiot in a strict physiological sense, as a person who is pathologically supersensitive and as a result has developed hatred towards all kind of reality, hence lack of instinct for fighting, pride, sexual instinct as well, which is typical for certain kind of epileptoid neurosis. Nietzsche also declares that Jesus lacked the ability to perceive reality, he is opposite type of genius and hero.

Venera Kavtiashvili concludes that Galaktion in his poetry, following Jesus, declares death as only shortest way from suffering, paradoxically, at the same time researcher states that Nietzsche’s life philosophy is against atheism, positivism and Christian obedience where free will, dionysiac ecstasy and intoxication with life is highest values. Concept of free will as theologian’s manipulative trick is often rejected by Nietzsche. Dionysian ecstasy, according to Nietzsche, is leading towards negation of life, as in Indian Buddhism. Nietzsche’s new Dionysianism is not simple “intoxication”, but “overcoming” which means staying aware of all the conflicts in their total and clear affirmation.

Therefore, “intoxication with life” is very general and is associated with hedonism, which is rejected by Nietzsche and declared as the main cause of Christian life negative doctrine. Fear of pain is resulted in the religion of love. Nietzsche condemns hedonism as a way of avoiding suffering which is very valuable for him, everything great, noble is connected with suffering. In addition, Nietzsche distinguishes Dionysian death affirmation, which is strength in the face of fear, from Romantic death affirmation caused by life hatred and weakness.

Venera Kavtiashvili’s argument for Nietzsche’s hidden and true Christianity is his letter to a friend where as if Nietzsche is stating that he was Christian from the childhood and never had been against it. However, it is obvious mistranslation. Nietzsche says that he follows Christianity in many aspects and never had been disposed against it with always the same hostility. The last phrase here is important, as it is repeated in another letter written after 2 days to another friend to whom Nietzsche writes that many times he tried to achieve Christian ideal, but always recognized its impossibility.

Above, it was said that Nietzsche is following Christian ideal in many aspects, but it does not mean that it is the case in all aspects. Many things considered as moral are acceptable for Nietzsche too, but with a different motivation, that is basic and important difference here.

For example, Nietzsche condemns revenge and punishment, he is proposing psychological treatment for criminals (when it will be available) and if unsuccessful – voluntary euthanasia. This is not the case of falsified Christianity with eternal hell for those who do not repent. None that of unfalsified one – where one simply surrenders without caring about treatment of criminal.

Nietzsche is obviously least Christian when he condemns not only pity, but also any kind of compassion or love of neighbor. According to Nietzsche, Christianity declared war against pathos of distance and unequal rights, which are basis for any rights, without pathos of distance outside, there is no possibility for the one inside, accordingly, no possibility for constant self-overcoming of human being, strengthening species of man. Some kind of equality is only possible among equally strong, in other cases oppression, violence, exploitation is necessary for creating highest culture.

Venera Kavtiashvili is relating the possibility of reviving Christianity to Nietzsche's concept of eternal return. However, if Jesus was the only and last Christian, real Christianity did not even exist, so which Christianity should be revived according to Nietzsche? falsified one? That would make Nietzsche sad, as Zarathustra is made sad when he acknowledges that “small man” will also return. However, reviving here should be understood as its universal reign, because Nietzsche does not aim at totally abolishing even falsified Christianity, as the enemy, which makes him stronger.

However, this sadness is not the cause for nihilism for Nietzsche unlike the case with European nihilism. If the world had final goal, it would have achieved it already, so it does not have the one. Thus, present is justified regardless its relation to the future or the past, becoming is justified regardless final purpose. The end is joy of the cycle itself, eternal return is the cause for enjoyment. On the other hand: one should live so that repeating that life was desirable for the one. For Nietzsche, Dionysian way means affirming life, being eternal Yes to life.

Venera Kavtiashvili also speaks about reviving Christian culture. Nietzsche speaks about demonizing Eros by Christianity as the main reason why Christian culture is obsessed with erotic stories, which is ridiculous.

Finally, here the attempt to tame the great philosopher and absurdity, superficiality and tendentiousness of Nietzsche's Christian interpretation is obvious.